ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2624535

ნომერი: AR1402343

თარიღი : 05.05.2016

გაცემის თარიღი : 31.05.2016

გაცნობის თარიღი : 13.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 23 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან დოლიძე პ/ნ 01008021408
- ი. აბაშიძის #40

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "Arch Shop" კოდი: 404992594

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.04.2013 წ. N628478 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქალაქე ლევან დოლიძემ (თანაგანმცხადებელი: შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტი“-ს დირექტორი ლია ჭყონია და ნინო ოკუჯავა) 05.05.2016 წ. NAR1402343 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.04.2013 წ. N628478 გადაწყვეტილებით

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 10.04.2013 წ. N628478 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N23-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი: N01.10.14.027.010, ფართობი 285 კვ.მ.) არსებული შენობის რეკონსტრუქცია მიშენება–დაშენებით მასში საშუალო პროფესიულ–ტექნიკური სასწავლო დაწესებულების მოწყობის მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 10.04.2013 წ. N628478 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით, კერძოდ: არსებული შენობის რეკონსტრუქცია მიშენება–დაშენებით მასში ამბულატორიის მოწყობის დაფიქსირება.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 10.04.2013 წ. N628478 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.04.2013 წ. N628478 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: არსებული შენობის რეკონსტრუქცია მიშენება–დაშენებით მასში ამბულატორიის მოწყობის მიზნით;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.04.2013 წ. N628478 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს დამატებითი დოკუმენტაცია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N1-874 (20.05.2016 წ.) ბრძანება;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.04.2013 წ. N628478 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.